



## საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

### საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ ჩატარებული მედია მონიტორინგის შუალედური ანგარიში (23.09.2012–30.09.2012)

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ 2012 წლის 15 აგვისტოს „წინა საარჩევნო პროცესში მედიის მონაწილეობისა და მისი გამოყენების წესის“ შესახებ დადგენილება დაამტკიცა.

დადგენილების თანახმად განისაზღვრა, რომ კომისია უფლებამოსილია შეისყიდოს მედია მონიტორინგის განხორციელებისათვის საჭირო მომსახურება ან, უშუალოდ განახორციელოს მედია მონიტორინგი ან/და, გამოყენოს მაღალი საზოგადოებრივი ნდობის მქონე საერთაშორისო ორგანიზაციების ან/და სამოქალაქო სექტორის სუბიექტების მიერ საარჩევნო პროცესის მიმდინარეობისას ჩატარებული და ამ წესების რელევანტური, საჯაროდ ხელმისაწვდომი მედია მონიტორინგის შედეგები.

2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებისთვის კომისია თავად ატარებს წინა საარჩევნო პერიოდის მედია მონიტორინგს.

საქართველოს ორგანული კანონის „საარჩევნო კოდექსის“ თანახმად სამაუწყებლო კომპანიების მონიტორინგი კენჭისყრამდე 50 დღით ადრე დაიწყო.

მონიტორინგს დაექვემდებარა ყველა კერძო საერთო ლიცენზიის მფლობელი კომპანია და ავტორიზებული პირი და საზოგადოებრივი მაუწყებელი.

მედია მონიტორინგის პროცესში კომისიის დაკვირვების საგანი არის:

- ა) წინა საარჩევნო რეკლამა;
- ბ) წინა საარჩევნო დებატები;
- გ) ახალ ამბებსა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემები;
- დ) წინა საარჩევნო აგიტაცია.

ტელეკომპანიების, „რუსთავი2“, „ტელეიმედი“, საზოგადოებრივი მაუწყებლის „პირველი არხი“, „მეორე არხი“ და „პიკი“, ასევე, ტელეკომპანიების „მანსტრო“, „კავკასია“, „რელატივი“ და „მეცხრე არხი“ მონიტორინგი ხორციელდება 24 საათის განმავლობაში.

რაც შეეხება რეგიონალურ მაუწყებლებს, წინა საარჩევნო პერიოდის პირველ ნახევარში მონიტორინგს დაექვემდებარა სამაუწყებლო ერთი კვირიდან კომისიის მონიტორინგის ჯგუფის მიერ შერჩეული ორი სამაუწყებლო დღე, ხოლო წინა საარჩევნო პერიოდის მეორე ნახევარში ერთი სამაუწყებლო კვირიდან სამი სამაუწყებლო დღე.

### **მეთოდოლოგია:**

კომისიის მონიტორები მონიტორინგის განხორციელების დროს ყურადღებას ამახვილებენ როგორც თვისებრივი ინსტრუმენტების გამოყენებაზე, ასევე რაოდენობრივ მაჩვენებლებზე.

მონიტორინგის შედეგებში მოცემულია დეტალური ანალიზი, სამაუწყებლო კომპანიებში წინა საარჩევნო პოლიტიკური რეკლამის, როგორც ფასიანის, ასევე უფასო პოლიტიკური რეკლამის სამართლიანი და განჭვირვალე განაწილების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების დაცვა.

საანგარიშო პერიოდში, ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების, ასევე წინა საარჩევნო დებატების მონიტორინგის პროცესში ყურადღება გამახვილებულია სამაუწყებლო კომპანიის მხრიდან ბალანსის დაცვაზე, ასევე, ახალი ამბების მიუკერძოებელი და სამართლიანი გაშუქების უზრუნველყოფაზე და ბოლოს, თითოეული კვალიფიციური სუბიექტისთვის დათმობილი საეთერო დროის სამართლიან და გამჭვირვალე განაწილებაზე.

კომისიის მონიტორების დაკვირვების საგანია, ასევე, მაუწყებლის მხრიდან იმ პოლიტიკური სუბიექტების საქმიანობის გაშუქება, რომლებიც არ წარმოადგენენ კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს, მაგრამ მონაწილეობენ არჩევნებში.

მოცემული მედია მონიტორინგის შედეგები წარმოადგენს შუალედურ ანგარიშს და მოიცავს პერიოდს 2012 წლის 23 სექტემბრიდან 30 სექტემბრის ჩათვლით.

(23.09–30.09)

### შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“

საინფორმაციო გამოშვებებში დათმობილი დროის მიხედვით პირველ ხუთეულში მოხვდნენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა–მეტი სარგებელი ხალხს“, „ბიძინა ივანიშვილი–ქართული ოცნება“, „გიორგი თარგამაძე–ქრისტინ-დემოკრატიული გაერთიანება“, „შალვა ნათელაშვილი–საქართველოს ლეიბორისტული პარტია“ და „ახალი მემარჯვენეები“. სიუჟეტები წარმოდგენილი წყაროების მიხედვით უმეტესად დაბალანსებულია.


შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ზე 2012 წლის 23 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე პერიოდში ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა–მეტი სარგებელი ხალხს“ (58.5%) და „ბიძინა ივანიშვილი–ქართულ ოცნებას“ (29.1%). დათმობილი დროის მიხედვით მესამე ადგილზე მოხვდა „გიორგი თარგამაძე–ქრისტინ-დემოკრატიული გაერთიანება“ (6.3%). მეოთხე ადგილზე „შალვა ნათელაშვილი–ლეიბორისტული პარტია“ (2.4%) ხოლო მეხუთე ადგილზე „ახალი მემარჯვენეები“ (1.4%) მოხვდა (იხ. დიაგრამა).

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, 2012 წლის 23 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე პერიოდში შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ს თვითრეგულირების მექანიზმში, კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არც ერთი საჩივარი არ შესულა.

შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის მიერ დაცულია საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 50-ე მუხლის პირველი ნაწილი. კერძოდ, კომპანიის მიერ საჯაროდ გამოცხადებულია ([www.rustavi2.com](http://www.rustavi2.com)) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია. შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-მა საჯაროდ გამოაცხადა და კომისიას მიაწოდა ინფორმაცია, თუ რომელი რიცხვიდან რომელ რიცხვამდე და რა პერიოდულობით არის გამოყოფილი საეთერო დრო უფასო და ფასიანი პოლიტიკური რეკლამისა და აგიტაციისათვის, ინფორმაცია 1 დღის განმავლობაში გამოყოფილი ხანგრძლივობის შესახებ, და გრაფიკი საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ს წინასაარჩევნო უფასო პოლიტიკური რეკლამისათვის, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 51-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, გამოყოფილი აქვს უფასო საეთერო დრო. ამასთანავე, შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის ერთი დღის განმავლობაში გამოყოფილი ფასიანი დრო არ აღემატება მისი დღიური მაუწყებლობის საერთო მოცულობის 15 პროცენტს და არც ერთ საარჩევნო სუბიექტს არ ჰქონდა დათმობილი ამ დროის ერთ მესამედზე მეტი.

შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ს ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს უმეტესად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.



### შპს „მეცხრე არხი“

საინფორმაციო გამოშვებებში დრო შემდეგ პოლიტიკურ პარტიებს დაეთმო „ბიძინა ივანიშვილი-ქართული ოცნება“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-მეტი სარგებელი ხალხს“, „კახა კუკავა-თავისუფალი საქართველო“ და „გიორგი თარგამაძე-ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანება“. სიუჟეტები წარმოდგენილი წყაროების მიხედვით უმეტესად დაბალანსებულია.

შპს „მეცხრე არხზე“ 2012 წლის 23 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე პერიოდში ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ბიძინა ივანიშვილი-ქართულ ოცნებას“ (80.4%). „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-მეტი სარგებელი ხალხს“ (13.7%) მეორე ადგილზე, ხოლო „კახა კუკავა-თავისუფალი საქართველო“ (3.1%) მესამე ადგილზე მოხვდა. „გიორგი თარგამაძე-ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანება“ (1.8%) დათმობილი დროის მიხედვით მეოთხე ადგილზე მოხვდა. ყველა დანარჩენ სუბიექტს კი 1%-ზე ნაკლები დრო დაეთმო (იხ. დიაგრამა).

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, 2012 წლის 23 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე პერიოდში შპს „მეცხრე არხის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა. აღსანიშნავია, რომ შპს „მეცხრე არხის“ 2012 წლის 3 ოქტომბრის წერილის შესაბამისად, 2012 წლის 10 სექტემბერს შპს „მეცხრე არხის“ თვითრეგულირების მექანიზმში შევიდა ააიპ „საქართველოს ჟურნალისტული ეთიკის ქარტიის“ საჩივარი, რომელიც ეხებოდა კომპანიის მიერ „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ მე-15 მუხლის, მე-16 მუხლის მეორე პუნქტის და მე-20 მუხლის მე-8 პუნქტის დარღვევას. თვითრეგულირების კომისიამ ააიპ „საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია“ დაინტერესებულ პირად არ მიიჩნია.


შპს „მეცხრე არხის“ მიერ დაცულია საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 50-ე მუხლის პირველი ნაწილი. კერძოდ, კომპანის მიერ საჯაროდ გამოცხადებულია ([www.tv9.ge](http://www.tv9.ge)) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია. შპს „მეცხრე არხმა“ საჯაროდ გამოაცხადა და კომისიას მიაწოდა ინფორმაცია, თუ რომელი რიცხვიდან რომელ რიცხვამდე და რა პერიოდულობით არის გამოყოფილი საეთერო დრო უფასო და ფასიანი პოლიტიკური რეკლამისა და აგიტაციისათვის, ინფორმაცია 1 დღის განმავლობაში გამოყოფილი ხანგრძლივობის შესახებ, და გრაფიკი საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

შპს „მეცხრე არხს“ წინასაარჩევნო უფასო პოლიტიკური რეკლამისათვის, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 51-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, გამოყოფილი აქვს უფასო საეთერო დრო. ამასთანავე, შპს „მეცხრე არხის“ ერთი დღის განმავლობაში გამოყოფილი ფასიანი დრო არ აღემატებოდა მისი დღიური მაუწყებლობის საერთო მოცულობის 15 პროცენტს და არც ერთ საარჩევნო სუბიექტს არ ჰქონდა დათმობილი ამ დროის ერთ მესამედზე მეტი.

შპს „მეცხრე არხის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს უმეტესად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.

მონიტორინგის შედეგად ირკვევა, რომ შპს „მეცხრე არხის“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები „მატრიცა“, „კონსილიუმი“ და „მთავარი კითხვა“. 2012 წლის 23 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე პერიოდში გადაცემას „მატრიცა“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ბიძინა ივანიშვილი-ქართული ოცნების“ წევრები (ორჯერ). ამავე პერიოდში გადაცემას „კონსილიუმი“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ბიძინა ივანიშვილი-ქართული ოცნების“ წევრები (ორჯერ). ამავე პერიოდში გადაცემას „მთავარი კითხვა“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ ასევე მხოლოდ „ბიძინა ივანიშვილი-ქართული ოცნების“ (ხუთჯერ) წევრები.

ვინაიდან, შპს „მეცხრე არხის“ ეთერში განთავსებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროგრამებს პოლიტიკური პარტიებიდან მხოლოდ „ბიძინა ივანიშვილი-ქართული ოცნების“ წევრები სტუმრობდნენ, 2012 წლის 23 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე პერიოდში, შპს „მეცხრე არხის“ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროგრამებში ყველა მნიშვნელოვანი მოსაზრების სათანადო წარმოჩენა უზრუნველყოფილი არ ყოფილა.



### შპს „სტუდია მანესტრო“

საინფორმაციო გამოშვებებში დათმობილი დროის მიხედვით პირველ ხუთეულში მოხვდნენ „ბიძინა ივანიშვილი-ქართული ოცნება“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-მეტი სარგებელი ხალხს“, „გიორგი თარგამაძე-ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანება“, „კახა კუკავა-თავისუფალი საქართველო“ და „შალვა ნათელაშვილი-საქართველოს ლეიბორისტული პარტია“. სიუჟეტები წარმოდგენილი წყაროების მიხედვით უმეტესად დაბალანსებულია.

შპს „სტუდია მანესტროს“ ეთერით 2012 წლის 23 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე პერიოდში ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ბიძინა ივანიშვილი-ქართულ ოცნებას“ (53%) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-მეტი სარგებელი ხალხს“ (37.9%). დათმობილი დროის მიხედვით მესამე და მეოთხე ადგილზე მოხვდნენ „გიორგი თარგამაძე-ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანება“ (2.8%) და „კახა კუკავა-თავისუფალ საქართველო“ (2.8%), ხოლო „შალვა ნათელაშვილი-საქართველოს ლეიბორისტული პარტია“ (1.3%) მეხუთე ადგილზე მოხვდა (იხ. დიაგრამა).

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, 2012 წლის 23 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე პერიოდში შპს „სტუდია მანესტროს“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

შპს „სტუდია მანესტროს“ მიერ დაცულია საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 50-ე მუხლის პირველი ნაწილი. კერძოდ, კომპანიის მიერ საჯაროდ გამოცხადებულია ([www.maestro.ge](http://www.maestro.ge)) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია. შპს „სტუდია მანესტრომ“ საჯაროდ გამოაცხადა და კომისიას

მიაწოდა ინფორმაცია, თუ რომელი რიცხვიდან რომელ რიცხვამდე და რა პერიოდულობით არის გამოყოფილი საეთერო დრო უფასო და ფასიანი პოლიტიკური რეკლამისა და აგიტაციისათვის, ინფორმაცია 1 დღის განმავლობაში გამოყოფილი ხანგრძლივობის შესახებ, და გრაფიკი საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

შპს „სტუდია მაესტროს“ წინასაარჩევნო უფასო პოლიტიკური რეკლამისათვის, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 51-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, გამოყოფილი აქვს უფასო საეთერო დრო. ამასთანავე, შპს „სტუდია მაესტროს“ ერთი დღის განმავლობაში გამოყოფილი ფასიანი დრო არ აღემატება მისი დღიური მაუწყებლობის საერთო მოცულობის 15 პროცენტს და არც ერთ საარჩევნო სუბიექტს არ ჰქონდა დათმობილი ამ დროის ერთ მესამედზე მეტი.

შპს „სტუდია მაესტროს“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს უმეტესად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.

მონიტორინგის შედეგად ირკვევა, რომ შპს „სტუდია მაესტროს“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები „სუბიექტური აზრი“, „პოლიტმეტრი“ და „არგუმენტები“. 2012 წლის 23 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე პერიოდში გადაცემას „სუბიექტური აზრი“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ბიძინა ივანიშვილი-ქართული ოცნების წევრები“ (ორჯერ). აღსანიშნავია, რომ გადაცემის წამყვანის განცხადებით „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-მეტი სარგებელი ხალხს“ წევრები გადაცემაში სტუმრობაზე უარს აცხადებენ.

ამავე პერიოდში გადაცემას „პოლიტმეტრი“ სტუმრობდნენ „ბიძინა ივანიშვილი-ქართული ოცნების“ წევრები (ხუთჯერ), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-მეტი სარგებელი ხალხს“ წევრები (ერთხელ), „ახალი მემარჯვენეების“ წევრები (ერთხელ), გიორგი თარგამაძე-ქრისტინან დემოკრატიული გაერთიანების“ წევრები (ერთხელ) და „კახა კუკავა-თავისუფალი საქართველოს“ წევრები (ერთხელ). აღსანიშნავია, რომ 27, 28 და 29 სექტემბერს გადაცემის წამყვანის განცხადებით „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-მეტი სარგებელი ხალხს“ წევრებმა გადაცემაში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს.


ამავე პერიოდში გადაცემას „არგუმენტები“ სტუმრობდნენ „ბიძინა ივანიშვილი-ქართული ოცნების“ წევრები (სამჯერ), „კახა კუკავა-თავისუფალი საქართველოს“ წევრი (ერთხელ), „გიორგი თარგამაძე-ქრისტინან-დემოკრატიული გაერთიანების“ წევრი (ერთხელ) და „ახალი მემარჯვენეების“ წევრი (ერთხელ). აღსანიშნავია, რომ გადაცემის წამყვანის განცხადებით „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-მეტი სარგებელი ხალხს“ წევრმა გადაცემაში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს.

შპს „სტუდია მაესტროს“ ეთერით გადაიცემა „სტუდია რეს“ მიერ მომზადებული წინასაარჩევნო დებატების პროგრამა „მე ვირჩევ“. მონიტორინგის პერიოდში გადაცემაში მონაწილეობდნენ „გიორგი თარგამაძე-ქრისტინან დემოკრატიული გაერთიანების“ (ერთხელ), „ახალი მემარჯვენეების“ წევრები (ერთხელ) და „კახა კუკავა-თავისუფალი საქართველოს წევრები“ (ერთხელ). აღსანიშნავია, რომ გადაცემის წამყვანის განცხადებით „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-მეტი სარგებელი ხალხს“ პარტიის წევრები უარს აცხადებენ გადაცემაში მონაწილეობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „სტუდია მაესტროს“ მიერ დაცულია „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 55-ე მუხლის მოთხოვნა. კერძოდ, აღნიშნული მუხლის შესაბამისად, საერთო მაუწყებელმა უნდა გადასცეს წინასაარჩევნო დებატები მისი მომსახურების ზონაში მიმდინარე საარჩევნო კამპანიის დროს. გადაცემაში

„მე ვირჩევ“ რესპოდენტებს თანაბრად ეძლეოდათ აზრის გამოხატვისა და ჯეროვანი პასუხის გაცემის საშუალება.

შპს „სტუდია მაესტროს“ მიერ საინფორმაციო გამოშვებებში და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროგრამებში უმეტესად უზრუნველყოფილია ყველა მნიშვნელოვანი მოსაზრების სათანადო წარმოჩენა, ხოლო სტუდიაში მოწვეული სტუმრების შერჩევისას დაცული იყო წარმომადგენლობითობა და ბალანსი. შპს „სტუდია მაესტროს“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს უმეტესად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.



### შპს „რეალტივი-საქართველო“

საინფორმაციო გამოშვებებში დრო ფაქტიურად მხოლოდ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-მეტი სარგებელი ხალხს“ და „ზიძინა ივანიშვილი-ქართულ ოცნებას“ დაეთმო.

შპს „რეალტივი-საქართველოს“ ეთერით 2012 წლის 23 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე პერიოდში ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-მეტი სარგებელი ხალხს“ (68.7%) და „ზიძინა ივანიშვილი-ქართულ ოცნებას“ (28.3%). მესამე ადგილზე მოხვდა „ეროვნულ დემოკრატიული პარტია“ (1.3%), ხოლო მეოთხე და მეხუთე ადგილზე „გიორგი თარგამაძე-ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანება“ (0.6%) და „შალვა ნათელაშვილი-საქართველოს ლეიბორისტული პარტია“ (0.6%) მოხვდნენ. „კახა კუკავა-თავისუფალი საქართველო“ (0.2%) მეხუთე ადგილზე მოხვდა (იხ. დიაგრამა).


მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, 2012 წლის 23 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე პერიოდში შპს „რეალტივი-საქართველოს“



თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

შპს „რეალტივი-საქართველოს“ მიერ დაცულია საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 50-ე მუხლის პირველი ნაწილი. კერძოდ, კომპანიის მიერ საჯაროდ გამოცხადებულია ([www.rtv.ge](http://www.rtv.ge)) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია. შპს „რეალტივი-საქართველომ“ საჯაროდ გამოაცხადა და კომისიას მიაწოდა ინფორმაცია, თუ რომელი რიცხვიდან რომელ რიცხვამდე და რა პერიოდულობით არის გამოყოფილი საეთერო დრო უფასო პოლიტიკური რეკლამისა და აგიტაციისათვის, ინფორმაცია 1 დღის განმავლობაში გამოყოფილი ხანგრძლივობის შესახებ, და გრაფიკი გაწეული მომსახურების შესახებ. შპს „რეალტივი-საქართველოს“ ფასიანი პოლიტიკური რეკლამისათვის ამ ეტაპზე საეთერო დრო არ აქვს გამოყოფილი.

შპს „რეალტივი-საქართველოს“ წინასაარჩევნო უფასო პოლიტიკური რეკლამისათვის, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 51-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, გამოყოფილი აქვს უფასო საეთერო დრო.



### შპს „ტელეიმედი“

საინფორმაციო გამოშვებებში დათმობილი დროის მიხედვით პირველ ხუთეულში მოხვდნენ „ბიძინა ივანიშვილი-ქართული ოცნება“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-მეტი სარგებელი ხალხს“, „გიორგი თარგამაძე-ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანება“, „შალვა ნათელაშვილი-საქართველოს ლეიბორისტული პარტია“ და „კახა კუკავა-თავისუფალი საქართველო“. სიუჟეტები წარმოდგენილი წყაროების მიხედვით უმეტესად დაბალანსებულია.

შპს „ტელეიმედიზე“ 2012 წლის 23 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე პერიოდში ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ბიძინა ივანიშვილი-ქართულ ოცნებას“ (45.4%) და „ერთიანი


ნაციონალური მოძრაობა-მეტი სარგებელი ხალხს“ (42.3%). დათმობილი დროის მიხედვით მესამე ადგილზე „გიორგი თარგამამე-ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანება“ (7.5%) მოხვდა. მეოთხე ადგილზე „შალვა ნათელაშვილი-საქართველოს ლეიბორისტული პარტია“ (2.3%) მოხვდა, ხოლო მეხუთე ადგილზე „კახა კუკავა-თავისუფალი საქართველო“ (0.9%) მოხვდა (იხ. დიაგრამა).

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, 2012 წლის 23 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე პერიოდში შპს „ტელეიმედის“ თვითრეგულირების მექანიზმში კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არც ერთი საჩივარი არ შესულა.

შპს „ტელეიმედის“ მიერ დაცულია საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 50-ე მუხლის პირველი ნაწილი. კერძოდ, კომპანიის მიერ საჯაროდ გამოცხადებულია ([www.imedi.ge](http://www.imedi.ge)) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია. შპს „ტელეიმედმა“ საჯაროდ გამოაცხადა და კომისიას მიაწოდა ინფორმაცია, თუ რომელი რიცხვიდან რომელ რიცხვამდე და რა პერიოდულობით არის გამოყოფილი საეთერო დრო უფასო და ფასიანი პოლიტიკური რეკლამისა და აგიტაციისათვის, ინფორმაცია 1 დღის განმავლობაში გამოყოფილი ხანგრძლივობის შესახებ, და გრაფიკი საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

შპს „ტელეიმედს“ წინასაარჩევნო უფასო პოლიტიკური რეკლამისათვის, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 51-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, გამოყოფილი აქვს უფასო საეთერო დრო. ამასთანავე, შპს „ტელეიმედის“ ერთი დღის განმავლობაში გამოყოფილი ფასიანი დრო არ აღემატება მისი დღიური მაუწყებლობის საერთო მოცულობის 15 პროცენტს და არც ერთ საარჩევნო სუბიექტს არ ჰქონდა დათმობილი ამ დროის ერთ მესამედზე მეტი.

შპს „ტელეიმედის“ მიერ საინფორმაციო გამოშვებებში უმეტესად უზრუნველყოფილია ყველა მნიშვნელოვანი მოსაზრების სათანადო წარმოჩენა. შპს „ტელეიმედის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს უმეტესად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.



### შპს „ტელეკომპანია პიკი“

საინფორმაციო გამოშვებებში დათმობილი დროის მიხედვით პირველ ხუთეულში მოხვდნენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა–მეტი სარგებელი ხალხს“, „ზიძინა ივანიშვილი–ქართულ ოცნება“, „გიორგი თარგამაძე–ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანება“, „შალვა ნათელაშვილი–საქართველოს ლეიბორისტული პარტია“ და „ახალი მემარჯვენეები“. სიუჟეტები წარმოდგენილი წყაროების მიხედვით მეტ-ნაკლებად დაბალანსებულია.


შპს „ტელეკომპანია პიკზე“ 2012 წლის 23 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე პერიოდში ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა–მეტი სარგებელი ხალხს“ (69.7%). „ზიძინა ივანიშვილი–ქართული ოცნება“ (21.5%) და „გიორგი თარგამაძე–ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანება“ (5.8%) დათმობილი დროის მიხედვით მეორე და მესამე ადგილზე მოხვდნენ. „შალვა ნათელაშვილი–საქართველოს ლეიბორისტული პარტია“ (2.3%) შესაბამისად მეოთხე ადგილას მოხვდა. მეხუთე ადგილზე „ეროვნულ დემოკრატიული პარტია“ (0.7%) მოხვდა (იხ. დიაგრამა).

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, 2012 წლის 23 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე პერიოდში შპს „ტელეკომპანია პიკის“ თვითრეგულირების მექანიზმში კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არც ერთი საჩივარი არ შესულა.

შპს „ტელეკომპანია პიკის“ მიერ დაცულია საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 50-ე მუხლის პირველი ნაწილი. კერძოდ, კომპანიის მიერ საჯაროდ გამოცხადებულია ([www.pik.tv](http://www.pik.tv)) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია. შპს „ტელეკომპანია პიკმა“ საჯაროდ გამოაცხადა და კომისიას

მიაწოდა ინფორმაცია, თუ რომელი რიცხვიდან რომელ რიცხვამდე და რა პერიოდულობით არის გამოყოფილი საეთერო დრო უფასო და ფასიანი პოლიტიკური რეკლამისა და აგიტაციისათვის, ინფორმაცია 1 დღის განმავლობაში გამოყოფილი ხანგრძლივობის შესახებ, და გრაფიკი საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

შპს „ტელეკომპანია პიკს“ წინასაარჩევნო უფასო პოლიტიკური რეკლამისათვის, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 51-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, გამოყოფილი აქვს უფასო საეთერო დრო. ამასთანავე, შპს „ტელეკომპანია პიკს“ ერთი დღის განმავლობაში გამოყოფილი ფასიანი დრო არ აღემატება მისი დღიური მაუწყებლობის საერთო მოცულობის 15 პროცენტს და არც ერთ საარჩევნო სუბიექტს არ ჰქონდა დათმობილი ამ დროის ერთ მესამედზე მეტი.



### საზოგადოებრივი მაუწყებელი – I არხი

საინფორმაციო გამოშვებებში დათმობილი დროის მიხედვით პირველ ხუთეულში მოხვდნენ „ბიძინა ივანიშვილი-ქართული ოცნება“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-მეტი სარგებელი ხალხს“, „გიორგი თარგამაძე-ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანება“, „შალვა ნათელაშვილი-საქართველოს ლეიბორისტული პარტია“ და „ახალი მემარჯვენეები“. სიუჟეტები წარმოდგენილი წყაროების მიხედვით უმეტესად დაბალანსებულია.

სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებელზე“ 2012 წლის 23 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე პერიოდში ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ბიძინა ივანიშვილი-ქართული ოცნებას“ (25.9%) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-მეტი სარგებელი ხალხს“ (22.9%). მესამე ადგილზე მოხვდა „გიორგი თარგამაძე-ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანება“ (16.5%) დათმობილი დროის მიხედვით მეოთხე ადგილზე „შალვა ნათელაშვილი-საქართველოს ლეიბორისტული

პარტია“ (10.9%), ხოლო მეხუთე ადგილზე „ახალი მემარჯვენეები“ (6.4%) მოხვდნენ (იხ. დიაგრამა).


მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, 2012 წლის 23 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე პერიოდში სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებლის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებლის“ მიერ დაცულია საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 50-ე მუხლის პირველი ნაწილი. კერძოდ, კომპანიის მიერ საჯაროდ გამოცხადებულია ([www.gpb.ge](http://www.gpb.ge)) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია. სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებელმა“ საჯაროდ გამოაცხადა და კომისიას მიაწოდა ინფორმაცია, თუ რომელი რიცხვიდან რომელ რიცხვამდე და რა პერიოდულობით არის გამოყოფილი საეთერო დრო უფასო და ფასიანი პოლიტიკური რეკლამისა და აგიტაციისათვის, ინფორმაცია 1 დღის განმავლობაში გამოყოფილი ხანგრძლივობის შესახებ, და გრაფიკი საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებელს“ წინასაარჩევნო უფასო პოლიტიკური რეკლამისათვის, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 51-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, გამოყოფილი აქვს უფასო საეთერო დრო. ამასთანავე, სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებელზე“ ერთი დღის განმავლობაში გამოყოფილი ფასიანი დრო არ აღემატება მისი დღიური მაუწყებლობის საერთო მოცულობის 15 პროცენტს და არც ერთ საარჩევნო სუბიექტს არ ჰქონდა დათმობილი ამ დროის ერთ მესამედზე მეტი.

მონიტორინგის შედეგად ირკვევა, რომ სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებლის“ ეთერით გადაცემა საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამა „აქცენტები“. აღნიშნულ გადაცემას მონიტორინგის პერიოდში პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ბიძინა ივანიშვილი-ქართული ოცნების“ წევრები (ორჯერ), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-მეტი სარგებელი ხალხს“ წევრები (ორჯერ), „გიორგი თარგამაძე-ქრისტინ დემოკრატიული გაერთიანების“ წევრები (ერთხელ) და „შალვა ნათელაშვილი-საქართველოს ლეიბორისტული პარტიის“ წევრები (ერთხელ).

სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებლის“ მიერ საინფორმაციო გამოშვებებში უმეტესად უზრუნველყოფილია ყველა მნიშვნელოვანი მოსაზრების სათანადო წარმოჩენა, ხოლო სტუდიაში მოწვეული სტუმრების შერჩევასა და ცული იყო წარმომადგენლობითობა და ბალანსი. სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებელს“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს უმეტესად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.



### საზოგადოებრივი მაუწყებელი - II არხი

საინფორმაციო გამოშვებებში დათმობილი დროის მიხედვით პირველ ხუთეულში მოხვდნენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-მეტი სარგებელი ხალხს“, „ბიძინა ივანიშვილი-ქართული ოცნება“, „გიორგი თარგამაძე-ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანება“, „შალვა ნათელაშვილი-საქართველოს ლეიბორისტული პარტია“ და „კახა კუკავა-თავისუფალი საქართველო“. სიუჟეტები წარმოდგენილი წყაროების მიხედვით უმეტესად დაბალანსებულია.

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მე-2 არხზე 2012 წლის 23 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე პერიოდში ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-მეტი სარგებელი ხალხს“ (31.2%) და „ბიძინა ივანიშვილი-ქართული ოცნებას“ (27.2%). „გიორგი თარგამაძე-ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანება“ (25.1%) დათმობილი დროის მიხედვით მესამე ადგილას მოხვდა. „შალვა ნათელაშვილი-საქართველოს ლეიბორისტული პარტია“ (8%) მეოთხე ადგილას მოხვდა, ხოლო მეხუთე ადგილზე „კახა კუკავა-თავისუფალი საქართველო“ (4.7%) მოხვდა. ყველა დანარჩენ სუბიექტს კი 2%-ზე ნაკლები დრო დაეთმო (იხ. დიაგრამა).

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, 2012 წლის 23 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე პერიოდში სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.


სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ დაცულია საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 50-ე მუხლის პირველი ნაწილი. კერძოდ,

კომპანის მიერ საჯაროდ გამოცხადებულია ([www.gpb.ge](http://www.gpb.ge)) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია. სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებელმა“ საჯაროდ გამოაცხადა და კომისიას მიაწოდა ინფორმაცია, თუ რომელი რიცხვიდან რომელ რიცხვამდე და რა პერიოდულობით არის გამოყოფილი საეთერო დრო უფასო და ფასიანი პოლიტიკური რეკლამისა და აგიტაციისათვის, ინფორმაცია 1 დღის განმავლობაში გამოყოფილი ხანგრძლივობის შესახებ, და გრაფიკი საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებელს“ წინასაარჩევნო უფასო პოლიტიკური რეკლამისათვის, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 51-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, გამოყოფილი აქვს უფასო საეთერო დრო. ამასთანავე, სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებელზე“ ერთი დღის განმავლობაში გამოყოფილი ფასიანი დრო არ აღემატება მისი დღიური მაუწყებლობის საერთო მოცულობის 15 პროცენტს და არც ერთ საარჩევნო სუბიექტს არ ჰქონდა დათმობილი ამ დროის ერთ მესამედზე მეტი.

მონიტორინგის შედეგად ირკვევა, რომ სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებლის“ მე-2 არხზე განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები „ბრიფინგის დრო“ და „თავისუფალი ტრიბუნა“. მონიტორინგის პერიოდში გადაცემა „ბრიფინგის დროს“ სტუმრობდნენ „ბიძინა ივანიშვილი-ქართული ოცნების“, „გიორგი თარგამაძე-ქრისტინ დემოკრატიული გაერთიანების“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-მეტი სარგებელი ხალხს“, „შალვა ნათელაშვილი-საქართველოს ლეიბორისტული პარტიის“, „ახალი მემარჯვენეების“, „კახა კუკავა-თავისუფალი საქართველოს“, „ჯონდი ბალათურია-ქართული დასის“, „სამართლიანი საქართველოსთვის“, „სახალხო პარტია“ და „ეროვნულ დემოკრატიული პარტიის“ წევრები. ამავე პერიოდში გადაცემას „თავისუფალი ტრიბუნა“ სტუმრობდნენ „ბიძინა ივანიშვილი-ქართული ოცნების“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-მეტი სარგებელი ხალხს“, „ახალი მემარჯვენეების“, „კახა კუკავა-თავისუფალი საქართველოს“, „ეროვნულ დემოკრატიული პარტია“, „სამართლიანი საქართველოსთვის“, „ჯონდი ბალათურია-ქართული დასის“, „მომავალი საქართველოსთვის“, „მერაბ კოსტავას საზოგადოების“, „სახალხო პარტიის“ და „საქართველოს მშრომელთა საბჭოს“ წევრები.

სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებლის“ მიერ საინფორმაციო გამოშვებებში უმეტესად უზრუნველყოფილია ყველა მნიშვნელოვანი მოსაზრების სათანადო წარმოჩენა, ხოლო სტუდიაში მოწვეული სტუმრების შერჩევისას დაცული იყო წარმომადგენლობითობა და ბალანსი. სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებელს“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს უმეტესად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.



### შპს „ტელეკომპანია კავკასია“

საინფორმაციო გამოშვებებში დათმობილი დროის მიხედვით პირველ ხუთეულში მოხვდნენ „ბიძინა ივანიშვილი-ქართული ოცნება“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-მეტი სარგებელი ხალხს“, „გიორგი თარგამაძე-ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანება“, „შალვა ნათელაშვილი-საქართველოს ლეიბორისტული პარტია“ და „კახა კუკავა-თავისუფალი საქართველო“. სიუჟეტები წარმოდგენილი წყაროების მიხედვით უმეტესად დაბალანსებულია.

შპს „ტელეკომპანია კავკასიის“ ეთერთ 2012 წლის 23 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე პერიოდში ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ბიძინა ივანიშვილი-ქართულ ოცნებას“ (50.4%) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-მეტი სარგებელი ხალხს“ (28.5%). დათმობილი დროის მიხედვით მესამე ადგილზე მოხვდა „გიორგი თარგამაძე-ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანება“ (8.4%). მეოთხე ადგილზე „შალვა ნათელაშვილი-საქართველოს ლეიბორისტული პარტია“ (5.6%) მოხვდა, ხოლო მეხუთე ადგილზე „კახა კუკავა-თავისუფალი საქართველო“ (4.8%) მოხვდა. ყველა დანარჩენ სუბიექტს კი 2%-ზე ნაკლები დრო დაეთმო (იხ. დიაგრამა).

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, 2012 წლის 23 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე პერიოდში შპს „ტელეკომპანია კავკასიის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.



შპს „ტელეკომპანია კავკასიის“ მიერ დაცულია საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 50-ე მუხლის პირველი ნაწილი. კერძოდ, კომპანიის მიერ საჯაროდ გამოცხადებულია ([www.kavkasiatv.ge](http://www.kavkasiatv.ge)) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია. შპს „ტელეკომპანია კავკასიამ“ საჯაროდ გამოაცხადა და კომისიას მიაწოდა ინფორმაცია, თუ რომელი რიცხვიდან რომელ რიცხვამდე და რა პერიოდულობით არის გამოყოფილი საეთერო დრო უფასო და ფასიანი პოლიტიკური რეკლამისა და აგიტაციისათვის, ინფორმაცია 1 დღის განმავლობაში გამოყოფილი ხანგრძლივობის შესახებ, და გრაფიკი საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

შპს „ტელეკომპანია კავკასიას“ წინასაარჩევნო უფასო პოლიტიკური რეკლამისათვის, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 51-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, გამოყოფილი აქვს უფასო საეთერო დრო. ამასთანავე, შპს „ტელეკომპანია კავკასიის“ ერთი დღის განმავლობაში გამოყოფილი ფასიანი დრო არ აღემატება მისი დღიური მაუწყებლობის საერთო მოცულობის 15 პროცენტს და არც ერთ საარჩევნო სუბიექტს არ ჰქონდა დათმობილი ამ დროის ერთ მესამედზე მეტი.

მონიტორინგის შედეგად ირკვევა, რომ შპს „ტელეკომპანია კავკასიის“ ეთერში 2012 წლის 23 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე პერიოდში განთავსებულია საზოგადოებრივ პოლიტიკური პროგრამა „სპექტრი“, რომელსაც მონიტორინგის პერიოდში სტუმრობდნენ კოალიცია ქართული ოცნების წევრები (ხუთჯერ) და „კახა კუკავა–თავისუფალი საქართველოს წევრი (ერთხელ).


შპს „ტელეკომპანია კავკასიის“ ეთერში განთავსებულია წინასაარჩევნო დებატების პროგრამა „თქვენი არჩევანი“, რომელსაც მონიტორინგის პერიოდში სტუმრობდნენ “ბიძინა ივანიშვილი–ქართული ოცნების“ (ერთხელ), „ახალი მემარჯვენეების“ წევრები (ერთხელ) და „გიორგი თარგამაძე–ქრისტინა-დემოკრატიული გაერთიანების“ წევრები (ერთხელ).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „ტელეკომპანია კავკასიის“ მიერ დაცულია „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 55-ე მუხლის მოთხოვნა. კერძოდ, აღნიშნული მუხლის შესაბამისად, საერთო მაუწყებელმა უნდა გადასცეს წინასაარჩევნო დებატები მისი მომსახურების ზონაში მიმდინარე საარჩევნო კამპანიის დროს. გადაცემაში „თქვენი არჩევანი“ რესპოდენტებს თანაბრად ეძლეოდათ აზრის გამოხატვისა და ჯეროვანი პასუხის გაცემის საშუალება.

მონიტორინგის პერიოდში შპს „ტელეკომპანია კავკასიის“ ეთერში ფიქსირდება პროგრამა „არჩევანი 2012“. გადაცემის პირველი ნაწილი „პოლიტ მეხსიერება“ მიმოიხილავს სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებს. მონიტორინგის პერიოდში „პოლიტ მეხსიერებაში“ გავიდა სიუჟეტი პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა–მეტი სარგებელი ხალხს“ შესახებ.

შპს „ტელეკომპანია კავკასიის“ მიერ საინფორმაციო გამოშვებებში, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემებში და წინასაარჩევნო დებატების პროგრამებში უმეტესად უზრუნველყოფილია ყველა მნიშვნელოვანი მოსაზრების სათანადო წარმოჩენა, ხოლო სტუდიაში მოწვეული სტუმრების შერჩევასაც დაცული იყო წარმომადგენლობითობა და ბალანსი. შპს „ტელეკომპანია კავკასიის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს უმეტესად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალებაც.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ლეიბორისტული პარტიის განცხადებით, პარტია უარს აცხადებს შპს „ტელეკომპანია კავკასიის“ ეთერში განთავსებულ წინასაარჩევნო დებატების პროგრამებში და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემებში მონაწილეობაზე.



### შპს „ტელეარხი 25“

საინფორმაციო გამოშვებებში დრო შემდეგ პოლიტიკურ პარტიებს დაეთმო – „ბიძინა ივანიშვილი-ქართული ოცნება“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-მეტი სარგებელი ხალხს“, „კახა კუკავა-თავისუფალი საქართველო“, „გიორგი თარგამაძე-ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანება“ და „ახალი მემარჯვენეები“. სიუჟეტები წარმოდგენილი წყაროების მიხედვით უმეტესად დაბალანსებულია.

შპს „ტელეარხი 25“-ის ეთერით 2012 წლის 23 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე პერიოდში ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ბიძინა ივანიშვილი-ქართული ოცნება“ (32.3%) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-მეტი სარგებელი ხალხს“ (26.8%). დათმობილი დროის მიხედვით მესამე ადგილზე „კახა კუკავა-თავისუფალ საქართველოს“ (15.2%) მოხვდა. „გიორგი თარგამაძე-ქრისტიან-დემოკრატიულ გაერთიანებას“ (13.5%) მეოთხე ადგილზე მოხვდა, ხოლო მეხუთე ადგილზე „ახალი მემარჯვენეები“ (10.5%) მოხვდა (იხ. დიაგრამა).

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, 2012 წლის 23 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე პერიოდში შპს „ტელეარხი 25“-ის თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

შპს „ტელეარხი 25“-ის მიერ დაცულია საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 50-ე მუხლის პირველი ნაწილი. კერძოდ, კომპანიის მიერ საჯაროდ გამოცხადებულია ([www.tv25.ge](http://www.tv25.ge)) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია. შპს „ტელეარხი 25“-მა საჯაროდ გამოაცხადა და კომისიას მიაწოდა ინფორმაცია, თუ რომელი რიცხვიდან რომელ რიცხვამდე და რა პერიოდულობით არის გამოყოფილი საეთერო დრო უფასო და ფასიანი პოლიტიკური რეკლამისა და აგიტაციისათვის, ინფორმაცია 1 დღის განმავლობაში გამოყოფილი ხანგრძლივობის შესახებ, და გრაფიკი საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

შპს „ტელეარხი 25“-ს წინასაარჩევნო უფასო პოლიტიკური რეკლამისათვის, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 51-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, გამოყოფილი აქვს უფასო საეთერო დრო. ამასთანავე, შპს „ტელეარხი 25“-ს ერთი დღის განმავლობაში გამოყოფილი ფასიანი დრო არ აღემატება მისი დღიური მაუწყებლობის საერთო მოცულობის 15 პროცენტს და არც ერთ საარჩევნო სუბიექტს არ ჰქონდა დათმობილი ამ დროის ერთ მესამედზე მეტი.

მონიტორინგის შედეგად ირკვევა, რომ შპს „ტელეარხი 25“-ს საკუთარ ეთერში განთავსებული აქვს საზოგადოებრივ პოლიტიკური გადაცემა „დიალოგი“, რომელში წინასაარჩევნო დებატების პროგრამის ნიშნები იკვეთება. გადაცემას მონიტორინგის პერიოდში პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-მეტი სარგებელი ხალხს“ წევრები (ორჯერ), „გიორგი თარგამაძე-ქრისტეან დემოკრატიული გაერთიანების“ წევრები (ორჯერ), „შალვა ნათელაშვილი-საქართველოს ლეიბორისტული პარტიის“ წევრები (ერთხელ), „ბიძინა ივანიშვილი-ქართული ოცნების“ წევრები (ერთხელ), „კახა კუკავა-თავისუფალი საქართველოს“ წევრები (ერთხელ) და „მომავალი საქართველოსთვის“ წევრები (ერთხელ).


მონიტორინგის პერიოდში შპს „ტელეარხი 25“-ის ეთერში განთავსდა წინასაარჩევნო დებატების პროგრამა „უპასუხე ხალხს“, რომელსაც პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ბიძინა ივანიშვილი-ქართული ოცნების“ (ერთხელ) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-მეტი სარგებელი ხალხს“ (ერთხელ).

ამავე პერიოდში შპს „ტელეარხი 25“-ის ეთერში განთავსდა „სტუდია რეს“ მიერ მომზადებული წინასაარჩევნო დებატების პროგრამა, რომელსაც პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ბიძინა ივანიშვილი-ქართული ოცნების“ წევრები (ერთხელ), „გიორგი თარგამაძე-ქრისტეან დემოკრატიული გაერთიანების“ წევრები (ერთხელ) და „ეროვნულ დემოკრატიული პარტიის“ წევრები (ერთხელ).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „ტელეარხი 25“-ის მიერ დაცულია „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 55-ე მუხლის მოთხოვნა. კერძოდ, აღნიშნული მუხლის შესაბამისად, საერთო მაუწყებელმა უნდა გადასცეს წინასაარჩევნო დებატები მისი მომსახურების ზონაში მიმდინარე საარჩევნო კამპანიის დროს. წინასაარჩევნო დებატების პროგრამებში რესპოდენტებს თანაბრად ეძლეოდათ აზრის გამოხატვისა და ჯეროვანი პასუხის გაცემის საშუალება.

შპს „ტელეარხი 25“-ის მიერ საინფორმაციო გამოშვებებში, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემებში და წინასაარჩევნო დებატების პროგრამაში უმეტესად უზრუნველყოფილია ყველა მნიშვნელოვანი მოსაზრების სათანადო წარმოჩენა, ხოლო სტუდიაში მოწვეული სტუმრების შერჩევისას დაცული იყო წარმომადგენლობითობა და ბალანსი. შპს „ტელეარხი 25“-ის ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს უმეტესად

ედლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალებაც.



2012 წლის 23 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე პერიოდში განხორციელდა რეგიონალურ მაუწყებლებელთა მონიტორინგი. მონიტორინგს დაექვემდებარა როგორც კომისიაში წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ასევე რეგიონალური მაუწყებლების სამაუწყებლო ბადეები. კერძოდ, კომისიის მიერ შემოწმდა მაუწყებლების არქივიდან რამოდენიმე დღე (შერჩევით) მონიტორინგის შედეგად ირკვევა, რომ:

1. შპს „იმპერიას“ ეთერში 2012 წლის 24, 26 და 27 სექტემბერს საინფორმაციო გამოშვებებში დრო შემდეგ პოლიტიკურ პარტიებს დაეთმო – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა–მეტი სარგებელი ხალხს“ (78.2%) და „ბიძინა ივანიშვილი–ქართული ოცნება“ (21.8%).

